



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 102/ს  
01/03/2023

102-21-4-202303011222



**ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოჟიოში შპს „სავანის ველის“ მიერ სარეკრეაციო დანიშნულების ტბორის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „სავანის ველის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოჟიოში სარეკრეაციო დანიშნულების ტბორის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სარეკრეაციო დანიშნულების ტბორის მოწყობა დაგეგმილია ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოჟიოში, შპს „სავანის ველის“ კუთვნილ 99765 მ2 ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 50.12.35.746). უახლოესი დასახლებული პუნქტი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 700 მეტრით, ხოლო მდინარე ხოდაშისხევი მიედინება დაახლოებით 80 მეტრში. საპროექტო მიწის ნაკვეთის მომიჯნავე ტერიტორიები წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს. საპროექტო ტბორის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 48 500 მ<sup>3</sup>-ს, ხოლო მაქსიმალური სიღრმე - 1,75 მ-ს (საშუალო ჩაღრმავება 1,5 მ). წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია ტბორის შევსება 25 000 მ<sup>3</sup> მოცულობის წყლით, ხოლო 48 500 მ<sup>3</sup> წარმოადგენს საპროექტო მაქსიმალურ მოცულობას, რაც შეიძლება სამომავლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში იქნეს გამოყენებული.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ტბორიდან წყლის ფილტრაციის პრევენციის მიზნით, ტბორის ძირზე მოეწყობა გეომემბრანის ფენა. როგორც აღინიშნა, მიწის ზედაპირიდან ტბორის საშუალო ჩაღრმავება იქნება 1,5 მ, ფსკერის სწორი ზედაპირით. ტბორის ჩაღრმავების სამუშაოებისას ამოღებული გრუნტით მოეწყობა ბერმები, სიგანით 20 მ, სიმაღლით 0,6 მ. ტბორის წყალმომარაგება დაგეგმილია სადრენაჟე სისტემის მეშვეობით, რომლის მთავარი მაგისტრალი გადის ტბორისათვის შერჩეული ტერიტორიის აღმოსავლეთით დაახლოებით 70 მეტრში. აღნიშნული დამშრობი სადრენაჟე სისტემა

მოწყობა გასული საუკუნის 60-იან წლებში, სისტემის გარკვეული მონაკვეთის აღდგენა/განახლება მოხდა მიწის მესაკუთრეების სახსრებით, ვინაიდან ძველი სისტემა არ ფუნქციონირებდა და მიწის ნაკვეთები იტბორებოდა. წყალადების წერტილის კოორდინატებია: X-531973.32 Y-4652691.31; X-532011.967 Y-4652893.294; X-532088.919 Y-4653110.57; X-531839.47 Y-4652434.226. ტბორში წყლის დონის დასარეგულირებელი და დამცლელი მილების დასამონტაჟებლად მოწყობა ბეტონის კედელი, მილები მიუერთდებიან სადრენაჟე კოლექტორის წყალსაგდებ არხს, რომელიც კვეთს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთს და ჩაედინება მდ. ხოდაშნისხევში. სკრინინგის განცხადების თანახმად, ნამეტი წყლის გადამღვრელი მოწყობილია შემდეგ GPS კოორდინატებზე X=532112.293 Y=4653692.752, ხოლო მილის საშუალებით წყლის ჩაშვება ხდება შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-532295.252 Y-4653867.069.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, წყალმომარაგების წყაროს მთლიანი ქსელის დებიტი შეადგენს 220 ლ/წმ. არსებულ სადრენაჟე წყლების შემკრებ არხში წყლის დღეღამური მოცულობა შეადგენს 70 000 მ<sup>3</sup>-ს. ტბორის შესავსებად დღე-ღამეში აღებული წყლის ხარჯი იქნება Q=864 მ<sup>3</sup>.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი სამუშაოების მცირე მოცულობების გათვალისწინებით, სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის. სამშენებლო ტექნიკის და სამშენებლო მასალების განთავსება მოხდება სამშენებლო მოედნის ფარგლებში გამოყოფილ მოედანზე. ტბორის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 2,5-3 თვეს, რა დროსაც დასაქმებული იქნება 10-12 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული იქნება 5 ადამიანი. ტბორის მოწყობის პროცესში გამოყენებული იქნება ექსკავატორი და თვითმცლელი ავტომანქანა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ტბორის მოწყობის პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება მშენებლობაში ჩართული სამშენებლო ტექნიკა. ამასთან სამშენებლო სამუშაოების დროს ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელებას. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და უახლოეს საცხოვრებელ ზონასთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სარეკრეაციო ტბორის მოწყობის პროცესში მოსალოდნელია მუნიციპალური, სახიფათო და ინერტული ნარჩენების წარმოქმნა. ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანილი იქნება ახმეტის დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვისათვის გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას. ტბორის მოწყობის პროცესი მასშტაბურ სამუშაოებს არ ითვალისწინებს, მიწის სამუშაოებისას ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოიქმნება ექსკავირებული ქანი (65 764 მ<sup>3</sup>), რომლის გამოყენება

დაგეგმილია უკუყრილის სახით (ბერმების მოსაწყობად), შესაბამისად ტერიტორიიდან გრუნტის გატანა და განთავსება საჭირო არ იქნება. ტბორის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნას, რისთვისაც ტერიტორიაზე განთავსდება კონტეინერები. ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა შემდგომი მართვის მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება ახმეტის დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. ტერიტორიაზე გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი 4,50 მ სიღრმემდე. გრუნტის წყალი სამთო გამონამუშევრებში დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 3.90-4.0 მ სიღრმეზე. საპროექტო ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით მიეკუთვნება მარტივი სირთულის კატეგორიას. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდგრადია და იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია დაახლოებით 8 967 მ<sup>3</sup> მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია მდინარე ხოდაშენისხევის ჰოდროლოგია, განხილულია საპროექტო ტერიტორიის დატბორვის რისკის შეფასება, რომელიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას მდ. ხოდაშენისხევის წყალშემკრები აუზის შესახებ.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტბორის მოწყობის პროცესში წყლის გარემოზე ზემოქმედებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მიწის სამუშაოების შესრულების დროს. სამშენებლო მოედნის ფარგლებში საწვავის სამარაგო რეზერვუარის მოწყობა დაგეგმილი არ არის, ხოლო საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვისათვის გამოყენებული იქნება ბიოტუალეტები. სამუშაოების შესრულების პროცესში წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება გამოყენებული ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი და ნარჩენების მართვის წესების დაცვა. ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკი არ არის მაღალი. ექსპლუატაციის პროცესში წყლის ფილტრაციის პრევენციის მიზნით გათვალისწინებულია ჰიდროსაიზოლაციო ფენის მოწყობა.

როგორც სკრინინგის ანგარიშშია აღნიშნული, საპროექტო ტბორის განთავსების ტერიტორიის კვლევისას განხორციელდა არსებული გრუნტის წყლების შემკრები სადრენაჟე სისტემის წყლის ლაბორატორიული კვლევები, რომლის შედეგებმა აჩვენა, რომ

წყალი არ არის დაბინძურებული და შესაძლებელია გამოყენებული იქნას სარეკრეაციო ტბორის საექსპლუატაციოდ. ვინაიდან ტბორი მხოლოდ სარეკრეაციო დანიშნულებით გამოიყენება, მასში არ მოხდება წყლის მახასიათებლების მნიშვნელოვანი ცვლილება და ტბორიდან მდინარეში ჩაშვებული წყალი უმნიშვნელო გავლენას მოახდენს მდ. ხოდაშნისხევის წყლის ხარისხზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტბორის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორია მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების არეალში, რომელიც გამოყენებულია ძირითადად მარცვლეული კულტურების მოსაყვანად. საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. მცენარეული საფარი გვხვდება მხოლოდ მდ. ხოდაშნისხევის კალაპოტის ფარგლებში, ჭალის ტყის მცენარეულობის სახით, რომელთა დაზიანება ან მათზე რაიმე სახის პირდაპირი ზემოქმედება მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი არ არის. როგორც აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფარგლებში, შესაბამისად ცხოველთა საბინადრო ადგილების თვალსაზრისით ნაკლებად ხელსაყრელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და მონასტერი, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 700 მეტრით არის დაშორებული. ადგილობრივი მშრალი კლიმატის გათვალისწინებით ტბორის ზედაპირიდან აორთქლებული წყალი არ იქნება დაკავშირებული მიმდებარე ტერიტორიების ატმოსფერული ჰაერის ტენიანობის მნიშვნელოვან ზრდასთან და ადგილობრივ კლიმატზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, ასევე ალავერდის სამონასტრო კომპლექსამდე დაცილების მანძილისა და სარეკრეაციო დანიშნულების ტბორის ზედაპირიდან გავრცელებული წყლის ორთქლის რაოდენობის გათვალისწინებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოჭიოში შპს „სავანის ველის“ მიერ სარეკრეაციო დანიშნულების ტბორის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „სავანის ველი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სავანის ველს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სავანის ველის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახმეტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო